სადაზღვევო საქმიანობის რეგულირება საქართველოში

ლია ძაგნიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლია ძაგნიძე

20.06.2014

აბსტრაქტი

საქართველოში სადაზღვევო სექტორი არ იყო კანონმდებლობით მოწესრიგებული 90იან წლებში, არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომლითაც სახელმწიფოს ექნებოდა საშუალება ეკონტროლებინა მზღვეველების ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესების შემთხვევაში მიეღო შესაბამისი ზომები დაზღვევის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებით, ლიკვიდატორის დანიშვნითა თუ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებით. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების მომხმარებელთა უფლებები არ იყო დაცული კანონმდებლობით.

კვლევის მიზანია, სადაზღვევო სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის შესწავლა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავარკვიოთ მოწესრიგებულია თუ არა დაზღვევის სფერო კანონმდებლობით, ახდენს თუ არა სახელმწიფო კონტროლს მათ საქმიანობაზე და რა სახით.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარებულია აღწერითი კვლევა, რომლის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამართლებრივი აქტები, ქართული და უცხოური ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები, კვლევები.

ვინაიდან მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მომხმარებელთა დაცვას, არამედ, თავად კომპანიების საქმიანობის წინსვლას, შესაბამისად საინტერესოა გარკვევა იმის, ერევა თუ არა სახელმწიფო მზღვეველების საქმიანობაში, ახდენს თუ არა მათ კონტროლს, თუ ახდენს ვისი მეშვეობით და რა სახისაა მის მიერ განხორციელული მონიტორინგი, სახელმწიფოს როლი ლიბერალურია თუ დაზღვევის სფეროს ყველა ასპექტს არეგულირებს და განამტკიცებს ყოველივეს კანონმდებლობით. რის შემდეგაც მოგვეცემა საშუალება გავარკვიოთ, დღესდღეობით რამდენად ინტერესდება და იცავს სახელმწიფო როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე მომხმარებელთა და მზღვეველების ინტერესებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *სადაზღვევო საქმე,რეგულირება,საქართველო..*